შ.პ.ს ,, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი

,, მ ე რ ც ხ ა ლ ი "

ქ.ოზურგეთი რუსთაველის ქ N39 მობ: 599-14-00-88 ელ-ფოსტა: fcmercxali@mail.ru

06 თებერვალი 2020 წელი

ქ.ოზურგეთი
N5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბ-ნ კონსტანტინე შარაშენიძეს

შ.პ.ს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ს/კ ,,მერცხალი"-ს მიერ 2019 წელში გაწეული მუშაობის ანგარიში

მოგახსენებთ,რომ 2019 წელს საფეხბურთო კლუბ ,,მერცხალში'' მოხდა საკადრო ცვლილებები.კლუბში სპორტული კუთხით ჩატარდა გარკვეული სახის სამწვრთნელო-სასწავლო სამუშაოები.ბავშვთა საფეხბურთო გუნდებს სათავეში ჩაუდგა აკაკი ათუაშვილი,ხოლო ძირითად გუნდს ხელმძღვანელობს ჯუმბერ(ჯონი) კალანდაძე.გაიზარდა ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების რაოდენობა და მათი მონაწილეობა საქართველოს მასშტაბით ღია ჩემპიონატებში.კერძოდ: ბავშვთა ფეხბურთის გუნდი U-16 (მწვრთნელი:ვახტანგ ჩხაიძე) მონაწილეობდა სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონალურ გათამაშებაში,სადაც დაიკავა 4-ე ადგილი.

ბავშვთა ფეხბურთელთა გუნდი U-13 (მწვრთნელი:შაქრო კაშია,აკაკი ათუაშვილი) მონაწილეობდა იმერეთის რეგიონალურ ჩემპიონატში,სადაც დაიკავა 3-ე საპრიზო ადგილი.

ბავშვთა ფეხბურთელთა გუნდი U-10-U-11(მწვრთნელი:გოჩა როყვა)მონაწილეობდა აჭარა-გურიის რეგიონალურ გათამაშებაში,სადაც U-10 პირველი ადგილი,ხოლო U-11 მეოთხე ადგილი.

ბავშვთა ფეხბურთელთა გუნდები U-8 და U-9 (მწვრთნელებიდავით სურგულაძე და აკაკი როყვა) არ მონაწილეობდნენ გათამაშებებში.

ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებული გრანტის(5750 ლარი) საშუალებით შევიძინეთ სპორტული ინვენტარი(ბურთები,სათამაშო ფორმები,,,პიჟამოები).

რაც შეეხება დიდ გუნდს ,,მერცხალმა'' შეინარჩუნა ადგილი რეგიონლიგაში,

საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია
შემოსავლების N 1492
06 02 2020
ფურცელი 2

თავის ჯგუფში დაიკავა მეორე ადგილი და ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მოიპოვა დაფინანსება.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს აქაც შესრულდა გარკვეული სახი სამუშაოები კერძოდ:

1. შეიღება და შებათქაშდა სტადიონის საფეხბურთო მოედნის შიდა და გარე ბორდიურები 840 მ2; სტადიონის მთლიანი ღობე 650 მ2.
2. შეიცვალა ელგაყვანილობა სტადიონის შიგნით პერიმეტრზე. დამონტაჟდა ახალი ელ-ბოძები თავისი ღამის ლამპიონებით.
3. სტადიონის ,,ლოჟაში'' და მწვრთნელთა ოთახებში დამონტაჟდა 80 ცალი სკამი.
4. სტადიონის შიგნითა შესასვლელში დამონტაჟდა ახალი ჭიშკარი.
5. შეიცვალა და მოწესრიგდა წყალგაყვანილობის სისტემა მსაჯთა ოთახში,აბანოში, გასახდელებში.
6. გამოიცვალა და შეკეთდა წყლის სისტემის მოწყობილობები საქვაბეში(ონკანები).
7. საქვაბეში შეიცვალა წყლის მოტორი 2-ცალი,წყალგაყვანილობის მილები 300 გრძივ მეტრზე.
8. შეკეთდა და კეთილმოეწყო ადმინისტრაციულ შენობაში არსებული სველი წერტილები.
9. ადმინისტრაციულ შენობაში მთლიანად შეიცვლა ამორტიზებული კარ-ფანჯრები ახალი მეტალოპლასტმასის ნაკეთობებით.

ს/კ ,,მერცხალი''-ს დირექტორი: /ზ. ჯულელი/